არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№068/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

შესავალი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ბიბლიოთეკა (შემდგომში - ბიბლიოთეკა) პასუხისმგებელია ისეთი საბიბლიოთეკო რესურსების (კოლექციები და სხვა) და სერვისების განვითარებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად ათვისებას, იმის გათვალისწინებით, რომ ბიბლიოთეკის მიერ შეუძლებელია უნივერსიტეტისათვის ყველა აუცილებელი გამოცემებისა და პუბლიკაციების მოპოვება, ბიბლიოთეკა ახდენს საბიბლიოთეკო რესურსების შეფასებას მათი სარგებლობიდან ამოღების ან მასში რესურსის დამატების მიზნით. აქედან გამომდინარე ბიბლიოთეკა ეფუძნება კონკრეტულ კრიტერიუმებს, რომლებიც საბიბლიოთეკო რესურსის ტიპს განიხილავს მეტი ან ნაკლები მნიშვნელობის კონტექსტში.

1. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ფაქტობრივ და პოტენციურ საჭიროებებთან შესაბამისობა

ბიბლიოთეკის თანამშრომლები მჭიდრო კომუნიკაციაში არიან უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, დარგობრივ და დისციპლინათა მიმართულებების წარმომადგენლებთან, რომლებიც წარმოადგენენ რესურსების პირველადი მომხმარებლის კატეგორიას. არსებული თანამშრომლობისა და კომუნიკაციის მეშვეობით ბიბლიოთეკა იღებს განახლებულ ინფორმაციას უნივერსიტეტის სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისათვის საჭირო ლიტერატურით შევსება-განახლების შესახებ.

2. დარგი და შინაარსი

ბიბლიოთეკის პერსონალი აფასებენ პირველადი მომხარებლების საინფორმაციო საჭიროების მოცულობას და დეტალიზაციის ხარისხს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ისეთ რესურსებს, რომელთა მოცულობა და დეტალიზაცია მაქსიმალურად შეესაბამება სასწავლო კურსების სილაბუსების მიერ მოთხოვნილ საჭიროებებს და მათი გამოყენებადობის ხარისხს.

3. არსებული ბაზის მოცულობა და ერთეულის ხელმისაწვდომობა ადგილზე

ახალი რესურსის (სახელმძღვანელო, პერიოდული გამოცემა და ა.შ.) შეძენის საჭიროების განხილვისას ბიბლიოთეკის პერსონალი აფასებს შესაბამისი მიმართულებით უკვე არსებული ბაზის ძლიერ და სუსტ მხარეებს. რესურსზე არსებული მოთხოვნისგათვალისწინებით ზუსტდება ეგზემპლარების რაოდენობა.

4. ხარისხი

რესურსის ხარისხის შეფასებისას განიხილება ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ავტორის რეპუტაცია, გამომცემელი, თანაავტორები, გამოცემის წელი, ილუსტრაციების ხარისხი და მნიშვნელობა, ბიბლიოგრაფია. აღნიშნული ფაქტორები განიხილება კომპლექსურად რესურსის ხარისხის საერთო შეფასების მიზნით.

5. სიახლე

საბაზისო დისციპლინები საჭიროებენ განახლებულ და უახლეს ინფორმაციას. შესაბამის მიმართულებებში უპირატესობა მიენიჭება ისეთ რესურსებს, რომლებიც შეიცავს განახლებულ და რევიზირებულ ინფორმაციას.

6. ფასი

რესურსის ფასეულობა საბიბლიოთეკო ბაზისათვის არ იზომება მხოლოდ მისი ფასით, თუმცა სხვა კრიტერიუმებთან ერთად ფასიც განიხილება რესურსის შეფასების პროცესში. „უფასო“ რესურსის შეფასების

პროცესში უნდა იქნას გათვალისწინებული მათი დამუშავების, კატალოგიზების, განთავსების და შენახვის ხარჯები.

7. რესურსების შერჩევა

 რეგულარულად ხდება გამომცემლობათა კატალოგებისა, ასევე დისციპლინების მიხედვით ელექტრონული რესურსების და სხვა შერჩევის ინსტრუმენტების გაცნობა და განხილვა. ხორციელდება განსახილველი და დასამტკიცებელი სახელმძღვანელოების სიის შემუშავება;

 უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს არსებულ რესურსებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის ზედამხედველობა;

 ხორციელდება რეკომენდაციების და დოკუმენტაციის მომხადება ახალი ელექტრონული რესურსების მოთხოვნის შესახებ. აღნიშნული სიები მოწმდება ბიბლიოთეკის კურატორის მიერ და წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად;

 უწყვეტ რეჟიმში ხდება განახლებული ლიტერატურისა (ახალი წიგნების განთავსება საგამოფენო ფარებზე) და ელ. რესურსების შესახებ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება.

8. სერვისები და მათი განვითარება

 ბიბლიოთეკის პერსონალი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი სახის სერვისები: წიგნის დაჯავშნა (პირადად, ცხელი ხაზის მეშვეობით, ელექტრონულად) ბიბლიოგრაფიული ინფორმაციის მიწოდება (წერილობითი და ზეპირი ფორმით);

 ბიბლიოთეკაში მოთხოვნილი საბიბლიოთეკო რესურსის არ არსებობის შემთხვევაში მოიძიოს სხვა ბიბლიოთეკაში. მიმართოს ბიბლიოთეკათაშორის აბონემენტს;

 პერსონალისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში მათ უტარდებათ ტრენინგი ახალი საინფორმაციო, სასწავლო რესურსებისა თუ ინსტრუმენტების, ასევე მათთან წვდომის საშუალებების შესახებ;

 საინფორმაციო რესურსები (წიგნი, სახელმძღვანელო, ატლასი, რიდერი, პერიოდული გამოცემა, კომპაქტ-დისკი, ვიდეო ფაილები) განთავსებულია ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პერსონალისა და სტუდენტებისთვის;

 არსებობს და გამართულია წვდომა საბიბლიოთეკო ინსფრაქტუქტურასთან, ბაზასთან, კოლექციებთან და სისტემებთან, მათ შორის პარტნიორობისა და ასოციაციის გამოყენებით;

 პერიოდულად ხორციელდება მომხმარებლების აზრის კვლევა არსებული რესურსებისა და სერვისების შესახებ, დამოკიდებულების და საჭიროებების შესახებ, ხდება რეკომენდაციების მიღება. კვლევის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შემუშავდება ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარების გეგმა.

9. ტექნიკური რესურსების მონიტორინგი და განახლება:

ტექნიკური რესურსების მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი აღჭურვილობის გამართულობაზე და საჭიროების შემთხვევაში განახლება-შეძენაზე.